№ 281 დეკემბერი 30, სამშაბათი 1886 დეკემბერი 30, სამშაბათი № 281

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	7 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა ტერიქეროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

კნეინა სოფიო და ელენე ხერხეულიძისანი, ანნა რატიშვილისა და ბარბარე ავალოვისა. გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას პირველი შვილისას, მეორე ქმრისას და მესამენი ძმისას, თავადის **ნიკოლოზ ანდრიას ძის ხერხეულიძისას** და სთხოვენ მობრძანდნენ 30 დეკემბერს ათს საათზედ საქალაქო საავად-მყოფოში გვამის გამოსასვენებლად. წირვას მოასმენინებენ ნიკოლოოზის ეკკლესიაში, ჩუღურეთში.

ტფილისი, 29 დეკემბერი

ევროპა თორმეტის დღით ჩვენზედ ადრე დღესასწაულობს შობასა და ახალს წელიწადსა. ამ დღეებში დიდი დარბაზობა აქვთ ხოლმე ერთმანეთში ყველას და ნამეტნავად მათ, ვისაც ხელთ უპყრია სახელმწიფოთა საქმეთა გამგეობა. რაკი მოხელენი უფროსთა გაცთა წინაშე წარსდგებიან მისალოცავად, მთელი ქვეყანა სულ განაბული მოელის, ვნახოთ ესა-და-ეს უფროსი კაცი რას იტყვის ქვეყნისათვის სანუგეშოსაო. ამიტომაც გაზეთები სავსენი არიან იმის მოთხრობით თუ,—ამა-და-ამ გვირგვინოსანმა ესა სთქვა და ამა-და-ამ მინისტრმა ესაო. ყური რომ დაუგდოთ ამ ნათქვამებს, მარტო იმას შეჰნიშნავთ, რომ ყველანი ერთ ნაირის ხმით იძახიან: ცა მოწმენდილია, მშვიდობიანობაა ყველგან და იქნება კიდეც კვლავაც, თუ ჩვენის ქვეყნის სახელსა და პატივს არავინ უკადრისად არ მოექცაო. საფრანგეთის მინისტრსა გობლეს ჰკითხავთ, ამას ამბობს, ინგლისისა ამასვე იძახის, ავსტრი-ვენგრიისა ამისავე ქადილშია. ჩვენც ქეიფისა და ლხინის მეტი არა გვმართებს-რა, რაკი მართლა საპოლიტიკო ცა ასე ღრუბლებ გადაყრილია და ევროპა სამშვიდობოს გასულა. ერთი ეს კი გვაკვირვებს: ასე დაჯინებით რად იძახიან მშვიდობიანობას! ამის პასუხი მივანდოთ ყოვლად-მცოდნე დიპლომატიასა და ჩვენ კი იმას მივუბრუნდეთ, რასაც თვალი ჰხედავს და არა ყური ისმენს.

საქმე ის არის, რომ დღეს აქამომდე ევროპა ერთმანეთში ვერ მოწყობილა, ვერ დალაგებულა და მინამ არ დაჰლაგდებიან, ვერავინ ჰბედავს სთქვას რაც გულში აქვთ. ჩვენ უწინაც გვითქვამს და ეხლაც ვიმეორებთ, რომ დიდნი სახელმწიფონი ერთმანეთში ვერ გასულ-გამოსულან და თუ დღეს რისათვისმე იღვწიან დიპლომატები და მინისტრები, მარტო ამ გასვლა-გამოსვლისათვის. ვიდრე ეს გასვლა-გამოსვლის საქმე არ გათავდება, კაცი ვერას იტყვის წინად იმისთანას, რომ თვითონაც არა ეჭვობდეს. ეს კი აშკარაა, რომ მინამ ამ მხრით საქმე ასე თუ ისე არ დაეწყობა, ყველანი ეცდებიან დღევანდელი საპოლიტიკო ტკივილი არ დაამონ და ამით მიზეზი აშლილობისა და ერთმანეთში შურისა და შუღლის ჩამოგდებისა ყოველთვის ხელთ იქონიონ. ნასკვი დღევანდელის საპოლიტიკო გაჭირებისა ამ გასვლა-გამოსვლაშია გამონასკვული: საქმე ის არის, ვინ ვისთან მივა, ვინ ვისთან გაეწყობა და დადგება. უამისოდ ნურავის ნუ ჰგონია, ჯანღი გადიყაროს ევროპამა და შეკრული შუბლი გაიხსნას.

ჯერ ხომ ლაპარაკი იყო, მითამ ავსტრი-ვენგრია, ინგლისი და იტალია ერთმანეთს ბანს აძლევდნენ. ეხლა ამაზედ ჩამი-ჩუმიც არ ისმის. ამათ ყველას ერთად ეგონათ, რომ გერმანია ჩვენკენ არისო და მინამ გერმანია გაჩუმებული იყო, ამათ რაც აგონდებოდათ, ის ესიზმრებოდათ გერმანიის დუმილში. ეხლა, რაკი გერმანია აშკარად რუსეთს დაუახლოვდა და ოსმალეთიც ყველა სახელმწიფოებზედ მეტად უფრო რუსეთსა ჰრჩეობს, ზემოხსენებულთა სამთა სახელმწიფოთა ხმა მოუწვრილეს და ცოტა არ იყოს დაბალის ხმაზედ დაიწყეს გალობა. ამას ისიც მოჰყვა, რომ ინგლისში სალუსბერის სამინისტრო შეირყა და კონსერვატორების რიხიანმა პოლიტიკამ უნდა დაიქვეითოს. ლორდ ჩერჩილის სამინისტროდამ გამოსვლამ შიგნიდამ გასტეხა ციხე-გალავანი კონსერვატორებისა, რომელნიც ეხლა სალუსბერის მეთაურობით განაგებენ ინგლისის საგარეო და საშინაო საქმეებსა. ეხლა გულ-დაჯერებით აუწყებენ გაზეთები მართალს მიზეზს ლორდ ჩერჩილის გამოსვლისას სამინისტროდამ. ლორდი ჩერჩილი თურმე არ ეთანხმებოდა თავის ამხანაგებს იმის თაობაზედ, რომ სალუსბერი ერევოდა ბოლგარიის საქმეში, მხარს აძლევდა და აქეზებდა ავსტრი-ვენგრიასა მაშინ, როდესაც ლორდი ჩერჩილი ურჩევდა თავი დაანებეთ ბოლგარიას, ნუ აიკვიატებთ ავსტრი-ვენგრიასა, დეე რუსეთმა თუნდა სტამბოლიც დაიჭიროსო; ჩვენი ცდა და ღონე იმაზედ უნდა მიიქცესო, რომ ეგვიპტეში თავი შევიმაგროთ და საფრანგეთს არაფერი დავუთმოთო. სალუსბერი და მისი ამხანაგნი—მინისტრები სულ სხვა აზრისანი არიან ამ საგანზედ, როგორცა სჩანს. მერე, ეტყობათ, ისე მტკიცედ ადგანან თავიანთ აზრს რომ მას ანაცვალეს იმისთანა ძლიერი მომხრე, იმისთანა გავლენიანი კაცი, როგორიც ჩერჩილი იყო ამ ბოლოს ხანებში. ეხლანდელ სამინისტროს მარტო ლორდ ჩერჩილისაგან ედგა სული და თუ ან განდგომილი რადიკალები მომხრეობდნენ სალუსბერს, ან განდგომილი ლიბერალები,—მარტო ლორდ ჩერჩილის წყალობით იყო ეს ამბავი.

ამ სახით სჩანს, რომ მინამ სალუსბერი მთავარ-მინისტრია ინგლისში, არც ბოლგარიის საქმეს მოეშვება, არც ავსტრი-ვენგრიის მომხრეობას დაეთხოვება და საფრანგეთსაც ეცდება როგორმე მოჰშველდეს ეგვიპტის საქმის გამო. მაგრამ რა? მრავალი ნიშნებია, რომ აღსასრული სალუსბერის სამინისტროსი მოახლოებულია. ამას ავსტრი-ვენგრია კარგად ჰხედავს და ამიტომაც ისიც ეხლა უკან იწევს და სადღე-ხვალიო სამინისტროს ვეღარა ჰნდობია. ყოველ ამის გამო იტალიამაც რიხი მოიკლო და ცოტა არ იყოს პირი იბრუნა. თუ განდგომილთა რადიკალთა მოთავე ჩამბერლენი და გლადსტონი ერთმანეთს მოჰშველდნენ, როგორც ბევრნი იმედოვნებენ, რადგანაც მოსარიგებლად ერთმანეთს გამოჰლაპარაკებიან კიდეც, და თუ ლორდმა ჩერჩილმაც თავისის დასით სალუსბერს წინააღმდეგობა დაუწყო, მაშინ სალუსბერი ან უნდა თითონ გადადგეს მთავარ-მინისტრობიდამ და აიბარგოს მთელის თავის დასითა, ან პარლამენტი დაითხოვოს და ახალი არჩევანი დაჰნიშნოს. ამბობენ, რომ ორსავე შემთხვევაში შესაძლოა ისევ გლადსტონი გახდეს მთავარ-მინისტრადაო. თუ ეს მოხდა, მაშინ ირლანდიის საქმე გათავდება ირლანდიელთა სასიამოვნოდ და ინგლისს საგარეო საქმეთათვის ხელები გახსნილი ექმნება, რადგანაც თავიდამ მოშორდება იგი დიდი სატკივარი, რომელიც ირლანდიის გამო ინგლისს გვამში უდგა. მაშინ ხელახლად გაიბმის ქსელი დიდთა სახელმწიფოთა შორის ერთმანეთში გასვლა-გამოსვლისათვის. დღეს-კი მაგ ქსელისათვის ძაფის წვერი დაკარგულია.

ახალი ამბავი

⁂ შობის დღესასწაულები გათავდა და ახლა ახალს წელს მოვე-

ფელეტონი

რამდენიმე სიტყვა

ქართულ საერო საკითხავ წიგნების თაობაზედ.

ერთობ ხშირად დაიწყეს ამ ბოლოს დროს ჩვენში ლაპარაკი საერო წიგნების მოპოვებასა და გავრცელებაზედ. ეს ამბავი სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ყველა ქართველისათვის: ლაპარაკი ადვილად შეიძლება საქმედ გარდაიქცეს და კაი საქმეს ხომ კაი სარგებლობაც თან მოსდევს. უადგილო არ იქნება, ვგონებთ, რომ საზოგადო ხმას დღეს ჩვენც, შეძლებისა-და-გვარად, ბანი მივცეთ, რადგან შესაძლებელია, ჩვენმა სიტყვამ სხვის სიტყვაც გამოიწვიოს და ამით ჯერ სრულიად დაუწყობელ საქმეს სასურველი დასაწყისი მიეცეს.

საჭიროა თუ არა ჩვენის ერისათვის წიგნების ბეჭდვა,—ამაზედ ლაპარაკი, რასაკვირველია, მეტი იქნება: რაც უმისოდაც ყველასათვის ცხადია, იმას განმარტება და დამტკიცება არ უნდა. ამ წერილს საგნადა აქვს: გამოარკვიოს—რა ხასიათის წიგნები უფრო ესაჭიროება ჩვენ ხალხს პირველ შემთხვევაში დროისა და გარემოების მიხედვით. წინადვე დარწმუნებული ვარ, რომ ამ გვარი საკითხავი ბევრს ღიმილს მოჰგვრის, ბევრი იტყვის: აქ რა არის გასაჭირი, ეს საკითხავი ძლიერ მარტივია და მარტივსავე პასუხს თხოულობსო; ხალხს არა აქვს ცოდნა და გაგება ბუნების სხვა-და-სხვა გვარ მოვლენათა და ქმნილებათა, ხალხმა არ იცის, თავის ჯანის სიმრთელეზედ როგორ იზრუნოს, არ შეუძლიან განაკარგოს ხვნა-თესვის საქმე, რომ ნაკლების შრომითა და ჯაფით მეტი ნაყოფი გამოაღებინოს მიწას და მებრვე სხვა,—მაშასადამე, სახალხო წიგნების შემადგენელთ შინაარსისათვის უნდა მიჰმართონ ბუნების მეცნიერებას, სახალხო ჰიგიენას, მეურნეობას და სხვ. და სხვ.

მე კი მგონია, რომ ეს პასუხი შესაწყნარებელი არ არის; ამ ჟამად ჩვენ ხალხს უფრო სხვა ხასიათის წიგნები ეჭირვება; ბუნების მეცნიერება, მეურნეობა, ჰიგიენა თუმცა კი სასურველია, რომ ხალხს დღესვე ჰქონდეს ცოტად თუ ბევრად შეგნებული, მაგრამ, ჩემის აზრით, აქედამ საქმის დაწყობა პირველი ნაბიჯი კი არ უნდა იყოს, არამედ მეორე და მესამე. ვეცდები ეს განვმარტო.

ცხადია, რომ როდესაც რომელიმე წიგნი იბეჭდება, ამ წიგნს აუცილებლად რაიმე დანიშნულება აქვს; ამ წიგნმა უნდა გაარკვიოს რაიმე საგანი, უნდა შეავსოს ესა თუ ის ნაკლი იმ საზოგადოებაში, რომლისათვისაც წიგნი იბეჭდება. ამისდა გვარად ავტორს ყოველ შემთხვევაში ორი საგანი ეხატება თვალ-წინ: პირველად, საკუთარი აზრი, რომლის განხორციელებაც ჰსურს და, მეორედ, ის საზოგადოება, რომელშიაც მას ჰსურს თავისი აზრი მოჰფინოს. თუ ავტორს ეს მეორე სურვილი სახეში აქვს, შეუძლებელია, რომ თავის თავს არა ჰკითხოს: როგორ მოეპყრობა საზოგადოება აზრს, საგანს: მიიღებს, შეითვისებს, შეიწყნარებს, თუ იმდონად აკლია ცოდნა, რომ შეიძლება საგანს სრულიად ყური არ ათხოვოს, ზურგი შეაქციოს?

ასე უნდა მოვიქცეთ ჩვენც. საჭიროა პირველშივე მოვისაზროთ: რა ცოდნა აქვს ჩვენს ხალხს წიგნების კითხვისათვის, რომელი საგანი უფრო სახეირო იქნება კითხვის ხალისის გასაღვიძებლად და რა საშუალება უფრო კეთილ-საიმედოა ხალხში წიგნის კითხვის სიყვარულის დაბადებისათვის.

არის ბევრი ისეთი სასარგებლო საგანი, ნათელი აზრი, რომელიც ყოვლად სასურველია, რომ ხალხმა იცოდეს; მაგრამ უცოდინარობის მიზეზით შეიძლება ხალხმა სრულიად არ მიიღოს, უარ-ჰყოს. ამიტომ, მე მგონია, რომ, თუ მივიღებთ მხედველობაში ჩვენის მდაბიო ხალხის უცოდინარობას, ადვილად მივხვდებით, რომ ბუნების მეცნიერება, სახალხო ჰიგიენა, სასოფლო მეურნეობა ჯერ-ჯერობით არ გამოდგება საერო საკითხავის წიგნების შინაარსისათვის. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩამოთვლილ საგნებს ხალხისთვის სარგებლობის მხრივ თითქმის ვერც ერთი სხვა საგანი ვერ შეედრება; ისიც ვიცი, რომ უცხო ქვეყნებში ამ გვარის შინაარსის წიგნები სოფლებში გასაოცარად ვრცელდება. მაგრამ, მგონია, ჩვენში, გარემოებათა მიხედვით, აქედამ საქმის დაწყება, როგორც ზემოდაც ვსთქვი, სასურველს ნაყოფს ვერ მოიტანს, ე. ი. ხალხი მალე ვერ შეეჩვევა წიგნის კითხვას, და ვერ შეიძლებს ამოკრიფოს წიგნიდამ თავის ცხოვრებისათვის გამოსადეგი და საჭირო ცნობანი და დარიგებანი.

გამოუცდელი ავტორი მეტის-მეტის გულ-დაჯერებით და დაიმედებით უცქერის მდაბიო ხალხს. იგი ჰფიქრობს, მე დავსწერ წიგნს ხალხისათვის და ისიც, როგორც უკვდავების წყაროს, მსწრაფლ დაეწაფება ჩემს ნაწერებსაო; მალე მიმიხვდება კეთილს განზრახვასაო. ჰფიქრობს ამას და აი რაზედ აფუძნებს თავის სიტყვებს: „გონება გაუხსნელსაც, უგუნურსაც ადვილად შეუძლიან გაარჩიოს კეთილი ბოროტისაგან, კარგი ავისაგანაო.“ მაგრამ, ერთი ეს მინდა გავიგო, მაშ უგუნური რიღათია უგუნური, თუ კი კარგს ავისაგან ადვილად არჩევს? ერთის სიტყვით, ვინც მოიწადინებს შეეხოს ხალხის ცხოვრებას, ვინც ამ ცხოვრების განკარგებას საგნად დაიდებს, იმისთვის აუცილებლად საჭიროა პირველ შემთხვევაში ასე თუ ისე ხალხის თანაგრძნობა შეიძინოს; და ამ თანაგრძნობის შეძენა ისე ადვილი არ არის, როგორც ზოგიერთებს წარმოუდგენიათ. საქმე ის არის, რომ უმეცარი ხალხი მეცნიერებას ყოველთვის ეჭვის თვალით უცქერის,—ეს არც საკვირველია. მოდი და შენ იმისთანას, რომელსაც თავის დღეში სკოლა თვალით არ უნახავს, სწავლისა არა გაუგონია-რა, დაუმტკიცე, აუხსენ, დაარწმუნე, რომ მზე ერთ ადგილას დგას და დედა-მიწა გარს უვლის და მერე ისეთის სისწრაფით, რომ ერთს საათში თითქმის 35 ათასს ვერსტს მანძილს გადის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლით. ძველი წელიწადი გაილია, მიიწურა და საცაა ჩაჰბარდება წარსულსა, დაერთვის ისტორიას. დღეს იმის მზადებაში-ღა უნდა ვიყოთ, რომ ახალს წელიწადს მივეგებოთ, ღირსეულად დავხვდეთ და ღირსეულადვე განვლოთ ამ ახალის წლის დღენი. თუ რამ დავაშავეთ 1886 წლის განმავლობაში, ის უნდა გავასწოროთ სამერმისოდ, რაც დაგვრჩა გასაკეთებელი, იმის დასრულებას უნდა შევუდგეთ. ვინატროთ, ჩვეულებისამებრ, რომ ახალი წელიწადი უფრო საკეთილო და საბედნიერო იყოს ჩვენთვის. ღმერთმა ჰქმნას, რომ ახალს წელს ბევრი კეთილი და ბედნიერება მოეტანოს ქვეყნისათვის.

⁂ ვიდრე ახალ-წელიწადი დადგებოდეს, ხმელი ხილი და გოზინაყი მომზადდებოდეს, ჩვენ ისევ ჩვენის ცხოვრების მატიანეს მივმართავთ და აღვნიშნავთ, სად რა ამბავია, სად რა ხდება, რა კეთდება და ან რა ფუჭდება. ტფილისში, ჯერ ისევ დღესასწაულების დაწყებამდე, ძალიან გახშირდა ქურდობა და ყოველ-გვარი ავ-კაცობა. დღე ისე არ გაიდოდა, რომ ორგანა და სამგან მაინც არ მომხდარიყო რაიმე ბოროტ-მოქმედება. ჯიბგირები და სხვა-და-სხვა გვარი უბინაო და უსახლ-კარო ხალხი, რომელთაც არავითარი შრომა და ჯაფა არ ეხერხება და ქეიფი და ლხინი-კი ძრიელ უყვარს დღესასწაულებში, დატრიალდნენ თავისებურად, დაიწყეს ქურდობა, ტეხა სახლებისა, პარვა ტანისამოსისა და ამ გვარად ნაშოვნის ფულით ემზადებოდნენ დროების გატარებას დღესასწაულებში.

⁂ შობის მეორე დღეს ქართულს თეატრში, როგორც გამოცხადებული იყო, ბ-ნ ვლ. აღნიაშვილის ქართულმა ხორომ გამართა კონცერტი. საზოგადოება მრავლად დაესწრო. უმრავლესობა უფრო მდაბიო და შუათანა ხალხი იყო. 25 კაცი, კარგად ჩაცმული ქართულად, მწყობრად ამბობდა სხვა-და-სხვა სიმღერას. საზოგადოებამ დიდად ისიამოვნა იმ საღამოს და ბევრს იმედი მიეცა, რომ ასეთის დასაწყისის შემდეგ, იქნება ბევრმა ხანმაც აღარ განვლოს და ქართულის მუსიკას საქმეს მკვიდრი საფუძველი მიეცესო. ვისურვოთ და ვინატროთ.

⁂ კვირას, შობის მესამე დღეს, ქართულმა სათეატრო დასმა გამართა წარმოდგენა იმავე თეატრში. ითამაშეს დიუმას პიესა „ედმონდ კინი“. კინის როლი ბ-ნმა კ. მესხმა შეასრულა.

⁂ ახალ-წელიწადს დღეს ქართულს თეატრში დანიშნულია ბენეფისი არტისტი-ქალის მ. ლეონიძისა. ითამაშებენ სუნდუკიანცის კომედიას „ხათაბალა“. კვირას, 4 იანვარს, როგორც ამბობენ, იქნება ბენეფისი კ. მესხისა. ითამაშებენ ლერმონტოვის ოთხ-მოქმედებიანს დრამას „მასკარადი.“ ამ ბენეფისამდე 2 იანვარს თ. გ. ერისთავის სახსოვრად გამართული იქნება წარმოდგენა. ითამაშებენ ჩვენის პირველის კომედიების ავტორის პიესებიდამ სხვა-და-სხვა მოქმედებასა და სცენებს. ამ დღესვე წარმოადგენენ სცენას: „მეფე და პოეტი“. პოეტის როლს ბ-ნი კ. მესხი შეასრულებსო.

⁂ დღეს, $7\frac{1}{2}$ საათზე, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში დანიშნულია მორიგი კრება ამ საზოგადოების წევრთა. ამ კრებაზედ იგივე არასხანიანცი მოახსენებს საზოგადოებას წერილს პურის ვაჭრობაზედ ამიერ-კავკასიაში.

⁂ ქუთათურებს ვერაფერი სადღესასწაულო ამინდები დაუდგათ თურმე, საშინელი ქარი ჰქრის ქუთაისში აგერ რვა დღეზედ მეტიაო. ძაღლი არ გამოიგდება გარედაო, მტვერმა თვალები დაგვთხარა, ქარმა ყავარი და კრამიტი აღარ შეარჩინა სახლებსაო.

⁂ გურიაშიაც უჩივიან ძრიელს ქარს, სახლები კინაღამ ზედ დაგვანგრიაო. სწორედ ამ ქარიანს ამინდში სოფელ ნიგოითში გაჩნდა ცეცხლი და გადასწვა ერთის სოფლელის სახლიო. აქედამ მერე სხვა სახლებს გადაედო და ოთხი სახლი კიდევ სხვა გადასწვაო. შიგ მცხოვრებთ სული ძლივს გამოასწრეს და მხოლოდ ის ტანისამოსი-ღა შერჩათ, რომელიც ტანთ ეცვათო. ეს იყო 23 დეკემბერს, როცა აქ კალანდობისათვის (ახალ-წლისათვის) ემზადებიანო. რაც სამზადისი ჰქონდათ, სულ გადაეწვათ და გადაებუგათ. გასუქებული ღორები, ინდაურები, ბატები და ქათმები—ყოველივე ცეცხლის მსხვერპლი შეიქმნაო. ბევრს ეცადა სოფელი, რკინის გზის სადგურიდამ ცეცხლის საქრობი მაშინაც მოიტანეს, მაგრამ ვერა გადაარჩინეს-რაო. ხუთი კომლი კაცი უცბად გაღარიბდა და გაღატაკდა და დარჩა ყოვლად უმოწყალოდ და უსაგნოდაო.

⁂ ქუთაისისა და გურიის ქარი ძირულასაც სწვევია, სამი დღეა აქ ძრიელი ქარი ამოვარდაო. აქამდე-კი ისეთი დარები იდგა, მაისი გვგონებოდაო; ისე თბილოდა, რომ ტყემალმა და ბევრმა სხვა ხილმა აყვავება დაიწყოო.

ქურდები ძალიან გათამამდნენ ჩვენში, თვით სადგურის უფროსსაც კი არ დაინდეს ავმა-კაცებმა და ამას წინად სამზარეულო გაუტეხეს. ათის თუმნის ვეჯი და ნივთი გაიტანეს ქურდებმა, რომელნიც ჯერ-ჯერობით არა სჩანანო.

⁂ ცხინვალიდამ გვწერენ, რომ ლიახვის ხიდი ძალიან დაძველდა და საშიშია, რომ უბედურება არა დატრიალდეს-რაო. ურემი შედგება თუ არა ზედა, ისე ფამფალებს, რომ, გგონია, აი ან ახლა ჩაინგრევა, ან ახლაო. თუ მთავრობამ ყურადღება არ მიაქცია ამ ამბავს, ისეთი საქმე მოხდება, როგორიც ჩვენსკენ ჯერ არ მომხდარიყოსო.

⁂ ამას წინად რუსულს გაზეთებში სწერდნენ, რომ გორში ბინდისას უხვდებიან ხალხსა, სცარცვავენ და შეურაცხყოფას აყენებენო. ეს მართალი არ არის; ამ გვარი ამბები ადრე იყო ამ ოთხი-ხუთის წლის წინად. მას შემდეგ კი, და განსაკუთრებით ამ ჟამად, გორი სრულიად თავისუფალია ქურდებისა და ავაზაკებისაგან. რასაკვირველია, მეტია რომ ვამბობთ, „სრულიად თავისუფალიო“ მაგრამ წარსულს წლებთან შედარებით კი ასრეა დღესა. უნდა კაცმა მართალი სთქვას, რომ აქაური პოლიცია ფხიზლად მოქმედობს: არც ერთი ქურდობა, არც ერთი ავაზაკი არ დამალვია, აღმოუჩენელი არ დარჩენია.

⁂ იქიდამვე გვწერენ: ქართულის სცენის მოყვარეთა განზრახვა აქვთ, რამდენიმე წარმოდგენა გამართონ და გააკეთონ რიგიანი სცენა, თორემ ეხლანდელი სცენა არვარგა. ეს სცენა ეკუთვნის პროგიმნაზიას და იატაკი საოსტატო სემინარიის თათრების სკოლის განყოფილებას. გატანჯულები არიან სცენის მოყვარულნი, ისეთის მუნათით იძლევიან. ეს სცენა იმავე ქართულ-რუსულის სცენის მოყვარეთაგან არის გაკეთებული, რომელსაც ეხლა განზრახვა აქვთ ახალის სცენის გამართვისა, რომ სამუდამოდ მორჩეს მუნათსა და საყვედურის თვალით ცქერასა.

⁂ აი ერთი საყურადღებო ახალი ამბავიც: გაზ. „Русскій Инвалидъ“-ში დაბეჭდილია: როცა ხელმწიფე იმპერატორს წარუდგინეს მოხსენება იმის თაობაზედ, რომ თერგის ოლქში მღელვარება და ამბოხება მოსპობილ იქმნაო, ხელმწიფემ ინება და საკუთარის ხელით დააწერა მოხსენებაზედ: «დიდის წარმატებითა და გულის ყურით გაუკეთებიათ საქმე. გარდაეცით გენერალს ამილახვარს ჩემი გულითადი მადლობაო».

⁂ 24-ს დეკემბერს, გათენებისას, ბოტანიკის ქუჩაზედ უპოვნიათ შეკრული გვამი სპარსეთის ქვეშევრდომისა სამედასი (გვარი ჯერ არ შეუტყვიათ). როგორც აღმოჩენილა, სამედა დაურჩვიათ ძველ ციხესთან, სპარსეთის ქვეშევრდომთა ნადმად-ყული-რამაზან ოღლის, ალია-აბდულ-ოღლის და იაგია-ქელბალაი ალაჯან-ოღლის სადგომში, სადაც სამედას ღამე გაუტარებია და სადაც პოლიციას უპოვნია სამედას შალვარი, წინდები და ჩუსტები. დამნაშავენი დაპატიმრებულნი არიან მეტეხის ციხეში.

⁂ 24-ს დეკემბერს, პოლიციის პირველ ნაწილში, გაბაევის სახლებში, უეცრად გარდაცვლილა სამსახურიდამ გადამდგარი მაიორი გაბრიელ ალხაზოვი.

⁂ 26-ს დეკემბერს, მეოთხე ნაწილის პოლიციის ბოქაულის თანაშემწეს, შერგილოვს დაუჭერია ერთი უცნობი კაცი, რომელსაც გამოუცხადებია, რომ მე სპარსეთის ქვეშევრდომი ქიარიმ-ალი-ასან-ოღლი ვარო. ეს კაცი ის ავაზაკი გამომდგარა, რომელიც გაიქცა შარშან მე-2 განყოფილების გამომძიებლის ხელიდგან.

⁂ 27 დეკემბერს, 1 პოლიციის ნაწილში, შახმურადოვის სახლებში, სადაც „პარიჟის“ სასტუმროა, მოჰკიდებია ცეცხლი ჭერსა. ცეცხლის მქრობელ რაზმს ცეცხლი მალე გაუქრია. გამოძიება სწარმოებს.

⁂ 27 დეკემბერს, 1 პოლიციის ნაწილში, ოლგის ქუჩაზედ, უპოვნიათ სამის დღის დაბადებული ყმაწვილი და საბებიო ინსტიტუტში გაუგზავნიათ.

⁂ ღამე, 28 დეკემბერს, მე-6 ნაწილში ქვრივის მალიაკინის სახლიდამ, ყარამან-ბეგ-ყიზის სადგომიდამ მოუპარავთ სპილენძის ჭურჭელი და სხვა საოჯახო ავეჯეულობა. დამნაშავე სპარსეთის ქვეშევრდომი მაჰდი-ჰუსეინ-ბეგ-ოღლი დაუჭერია პოლიციელ ანიენკოს.

დამაკვირდი!

ვისაც ჩვენ ცილსა ვსწამებთ, ან ცუდად ვიხსენიებთ, ხშირად ერთი ასად ჩვენზედ უკეთესნი არიან. (ბუასტი)

**

უმჯობესია კაცმა არა იცოდეს რა, ვიდრე ცუდად იცოდეს ის, რაც იცის. (რაფაელი)

**

ვინც კარგს სიძეს იშოვის, იგი შვილს იშოვის, ვინც ცუდსა—იგი ქალი-შვილსა ჰკარგავს.

**

ცხოვრება ჩვენი კვალსა ჰგავს
ზღვაზედა ნავთ-მავლისასა,
გინა სიზმარსა ამაოს,
წუთი ერთ მიღ მოკლისასა,
ღრუბელს ქართ მიმოკვეთებულს,
ანაზდსა დასავლისასა,
ზღაპარსა დაუჯერებელს,
მემუცლის გამომთქმელისასა.
(არჩილ მეფე)

**

საწუთროს ჯამით დგინის სმა
ტრფიალთან სანატრელია,

ანუ უთხარ, რომ დედა-მიწა ისეთი მრგვალია, როგორც ბურთი, ციბრუტივით თავის ღერძის გარშემო ტრიალებს და ამ ტრიალში ადამიანს ისე დაარბენინებს, რომ საათში 1575 ვერსტს გაარბენინებს ხოლმე (ეკვატორზედ); უთხარი, რომ ადამიანის ძარღვებში სისხლი კი არა დგას, ისეთის სისწრაფით მოძრაობს, რომ მთელს სხეულს თავიდამ ფეხებამდის ერთს წამზედ კიდევ ნაკლებ დროს შემოურბენს ხოლმე; დაარწმუნე შენ, რომ ციების და ბევრი მოარულის სნეულების მიზეზი არის თვალთ-უჩინარი არსება, რომელიც იბუდებს ადამიანის სხეულში, სადაც გასაოცრად ბარტყობს და რომელსაც ბაქტერია ჰქვიან; დაარწმუნე შენ, რომ ქუხილისა და ელვის მიზეზი ილიას ცაში სეირნობა კი არ არის, არამედ ბუნების ერთი უხილავი ძალაა, რომელსაც ელექტრონს უწოდებენ.

ვის არ ექნება გამოცდილი, რა სახით ეპყრობა, როგორ მოისმენს ხოლმე უმეცარი ხალხი ამ გვარ საგნებზედ ბაასს? ღიმილი ანუ სიცილი და ხშირად დაცინვა ხალხის მხრივ ამისთანა შემთხვევაში აუცილებელია ხოლმე. რადა? იმიტომ-რომ საჭიროა, სანამ სისხლის მოძრაობაზედ და ელექტრონზედ დაუწყობდე ლაპარაკს, ხალხს ჰქონდეს შეგნებული სულ უუმარტივესნი ცნობანი, რომელნიც შემდეგის განვითარებისათვის საფუძვლად უნდა დაიდოს,—ისე, როგორც საჭიროა კედლების ამოყვანას საძირკვლის ჩაგდება წინ მიუძღოდეს. ხალხს ყოველთვის ეუცხოვება, ხალხი უარჰყოფს იმას, რაც მისთვის მიუწდომელია, გაუგებარია. წარსულ ზაფხულს მე შემთხვევით ერთის გლეხის სახლში ესეთს ამბავს შევესწარ. ჩემის მასპინძლის შვილი ტფილისის ერთს საშუალს სასწავლებელში სწავლობს და უკვე უფროს კლასებში იმყოფება; უკანასკნელი საზაფხულოდ ჩვეულებისამებრ მშობლებთან იმყოფებოდა. ეს ყმაწვილი დილა-ადრიან გასულა თურმე იქვე ბაღჩაში და ერთს ლელევის ხეს ჩასჩერებია: უვლის გარშემო და თვალს არ აშორებს; მამამ ეს შენიშნა, სიცილით შემოვიდა ჩემთან და მითხრა: «თუ ღმერთი გრწამს, ერთი გარეთ გამოიხედე, ი ბიჭი რას ჩადის, თითქო გაგიჟებულა, ლელევს გარს ისე უვლისო». გამოვყევ ყმაწვილის მამას გარეთ; უკანასკნელმა აღარც-კი დამაცალა, დაუძახა შვილს: «ბიჭო, რა დაგმართვია, მა ლელევს რას ჩასცივებიხარ და აღარ ეშვებიო?» — „აბა აქ მოდით, რა გიჩვენოთ, აღტაცებით და გაკვირვებით გვიპასუხა ყმაწვილმა, ამ ლელევს ორ გვარი ჭიანჭველები ეხვევიან, რომელნიც განირჩევიან სიდიდითა და ფერით; ჭიანჭველების ამ ორ სხვა-და-სხვა გუნდს საშინელი ბრძოლა აქვთ ერთმანეთში; შეუბრალებლად ქლეტავენ ერთმანეთს; ვხედავ, რომ უფრო მომცრო ჭიანჭველები, რომლებიც რიცხვით გაცილებით ნაკლებნი არიან, სძლევენ, სჯობნიან თავისზედ უმრავლესს და დიდრონ მოპირდაპირეთ; მინდა ვუცქირო, რით გათავდება ამათი ბრძოლა: ვის გაიმარჯვებს და ვის დარჩება ეს ლელევის ხე, რომლისათვისაც, ვგონებ, ასე გაშმაგებული იბრძვიან ეს პატარა, მაგრამ გონიერი არსებანი!“ ამ სიტყვების გათავების უმალ, ყმაწვილის მამა მოჰყვა გულითადს სიცილს, რომელშიაც ცხადად იხატებოდა უზომო დაცინვა; და შემდეგ ამისა, როდესაც შვილმა, თითქოს თავის უკანასკნელის აზრის დასამტკიცებლად, თავის სიტყვებს ზედ დაჰრთო ზოგიერთა მეცნიერის აზრი ჭიანჭველების გონიერების შესახებ, მათის შინაურის მდგომარეობისა, ჩემის მასპინძლის გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, მხოლოდ იგი იოცებდა იმას კი არა, თუ ასეთ პატარა არსებათ ასეთი დიდი ჭკუა როგორ ჰქონიათო,—არა, იგი ამბობდა: „რამ გაასულელათ ეს რაღაც მეცნიერები არიანო, რომ ჭიანჭველების ცხოვრების გამოკვლევაზედ დროს ჰკარგავენ და თანაც ჰსჯერათ, ვითომ ჭიანჭველას ჭკუა აქვს და მერე ისიც დიდი ჭკუაო“. ბევრი ეუბნა, ბევრს უხსნიდა შვილი მამას, მაგრამ უკანასკნელს სიცილადაც არა ჰყოფნიდა შვილის ლაპარაკი. «შენმა მზემ, უმეორებდა მამა შვილს, თუ სკოლაში მაგისთანებს გასწავლიან, ბევრს რასმე გამოიტან იქიდამაო; თქვენი მასწავლებლები ვერაფერი ხალხი ყოფილაო.»

ამ გვარი მაგალითები, რომლებიც ცხადად დაგვანახვებენ, თუ რა თვალით უყურებს მდაბიო, უმეცარი ხალხი ზოგიერთა ბუნების მოვლენათა სამეცნიერო განმარტებას, შემეძლო ბლომად მომეყვანა, მაგრამ ეს მეტად მიმაჩნია. დიდი ფიცი და ახსნა არ უნდა იმ გარემოებას, რომ ჩვენ ხალხს დღეს წინ რომ დაუდო: «არსენას ლექსი» და, ვსთქვათ, „ადამიანის ჯანის სიმრთელის მოვლაზედ“, უეჭველია, პირველს გახარებული დააფრინდება და მეორეს შეიძლება არც-კი დახედოს, თუმცა-კი ყველანი დარწმუნებულნი ვართ, რომ ჯანის სიმრთელეზედ ადამიანს სხვა უძვირფასესი არა აქვს-რა.

საჭიროდ ვსთვლი მოვაგონო მკითხველს, რომ, როდესაც მე უარვყოფ სამეცნიერო შინაარსის წიგნებს საერო საკითხავად, მე სახეში მაქვს დრო და ადგილი. საქმე აი რაშია. სოფლის მდაბიო მცხოვრებნი ყოველთვის ორ დასად გაიყოფებიან: პირველ დასს შეადგენს ისეთი ნაწილი სოფლის მცხოვრებთა, რომელსაც ახლანდელი სკოლა (სასოფლო) გამოუვლია და მეორეს—უფრო ძველი ხალხი, რომელსაც წიგნი ძველებურ სკოლაში ანუ სახლში უსწავლია და ახლანდელის სკოლისა არა გაეგება-რა. ამ ორ დასთა ანუ თაობათა შორის ის განსხვავება არის, რომ პირველს ეხლანდელის სასოფლო სკოლების მოთხოვნილების დაგვარად ასე თუ ისე წერა-კითხვის გარდა გაუცვნია ზოგიერთა სამეცნიერო საგნების დასაწყისნიც და სხვათა შორის შეუძენია ცოტაოდენ ცოდნა ბუნების საყოველ-დღეო [illegible]ებაზედ და მებრვე სხვა, მეორემ-კი წერა-კითხვის გარდა არა იცის-რა, რადგან უწინდელის ჩვენის სკოლის პ[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამე სვალ გამოუღა
ჭკუისა ხელ-ამურელია;
სოფლის ნადიმთა მჯდომელი
სოფელსავითვე მტრელია,
რა გემოთ ჰსჭამდეს, თან ახლავს
კბილისა მოსაჭრელია.
(მეფე ვახტანგ VI)

**

არ დავიწყება მოყვრისა
არ ოდეს გვიზამს ზიანსა. (რუსთაველი)

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

რუსეთის გაზეთებს ისევ პოლიტიკა აწუხებთ და მოსვენებას არ აძლევს. მართლა და არაფერი სანუგეშო ამბები ისმის ამ ბოლგარიის გაუთავებელ საქმის გამო.

აი, მაგალითად, გაზეთი „Новости“ პირდაპირ ამბობს:

> ევროპა ჩუმ-ჩუმად მოქმედობს და სრული იმედი აქვს, რომ ბოლგარია კიდევ ჩაიდენს რაიმე საქმეს, ისეთს საქმეს, რომელიც ყველა სახელმწიფოებს დააფიქრებს და, რასაკვირველია, ყველაზე უფრო მეტად ჩვენ დაგვაფიქრებს...

ასე მოხდება საქმე თუ ისე, წინადვე ძნელი სათქმელია...

> ევროპა მტკიცედ დარწმუნდაო,—განაგრძობს გაზეთი, რომ რუსეთი ომს ერიდება და მშვიდობიანობა ჰსურს. ამის იმედი აქვს და ამიტომ ასე თამამად იქცევაო.

მეორე გაზეთი „Петербургскія Вѣдомости“ პირ-და-პირ ურჩევს რუსეთსა წინადვე დაიჭიროს ბოლგარიის ქალაქი ვარნა, რომ ყოველ გვარ შემთხვევას მზად დავხვდეთო.

⁂

ბ-ნი მეშჩერსკი სულ სხვა თვალით უყურებს დღევანდელს პოლიტიკას, ვიდრე გაზეთი „Новости“ და „Петербургскія Вѣдомости“. ბრწყინვალე თავადი გვარწმუნებს, რომ საშიში და დასაფიქრებელი პოლიტიკაში დღეს არაფერიაო. ეს მით უფრო დასაჯერებელია, რომ ბ-ნი მეშჩერსკი ყოველ გვარ ამბებს პოლიტიკაზე თვით დიპლომატებისაგან ტყობილობს.

შევხვდი ერთს დიპლომატს, მოგვითხრობს მეშჩერსკი, და ვკითხავ:

— ახალი ამბავი რა არის პოლიტიკაში?

— წარმოიდგინეთ,—არაფერი.

— როგორ? ნუ თუ არის ხოლმე ისეთი წამი, არ ვამბობ საათი, რომ გარეშე საქმეთა მინისტრსა ჰკითხონ,—ახალი ამბავი რა არისო? და ასეთი პასუხი მიიღონ:—არაფერიო?

— ხომ ჰხედავთ, რომ შესაძლებელი ყოფილა:—აი ეხლა სწორედ ისეთი წამი დადგა. არა, თუ გნებავთ, პოლიტიკაში ახალი ამბები დღესაც არის, მაგრამ სულ ისეთი ამბებია, რომელიც დიდი ხანია ყოფილა, მომხდარა და ამიტომ თქვენ სიტყვებზე: რა ამბავია?—პირდაპირ გიპასუხებთ: არაფერი, ჩვენთვის ახალი არაფერია.

— სამეგრელოს თავადის საქმე როგორღაა?

— ეგ საქმეც ჯერ გათავებული არ არის.

— პრინც ალექსანდრე ბატენბერგის დაბრუნებაზე რაღა ისმის?

— ბატენბერგის უკან დაბრუნების ამბავი მარტო ჭორია, სხვა არაფერი.

— ინგლისის მოთავედ ვიღა იქნება, მაგისიც ნამდვილი არა იცით-რა?

— არა,—ესეც ჯერ გადაწყვეტილად არავინ იცის და დღეს ამ საქმეს არც დიდი მნიშვნელობა აქვს.

— მაშ მშვიდობიანობას უნდა მოველოდეთ?

— დიახ, სრულს მშვიდობას და მყუდროებას.

რუსეთი

— უმაღლესს მთავრობას განზრახვა აქვს, ღვინისა და არყის გასყიდვა მთელ რუსეთში სახელმწიფომ აიღოს ხელში. ამ პროექტის ძალით ღვინისა და არყის გაყიდვის ნება ექნება მარტო ხაზინას. ვიდრე ამ აზრს სისრულეში მოიყვანდეს, მთავრობას განუზრახავს საფუძვლიანად შეისწავლოს, რა მდგომარეობაშია დღეს ეს საქმე. ამის გულისათვის ფინანსთა სამინისტროს გაუგზავნია პროგრამები საბაჟო გამგეობათა უფროსებისათვის ცნობების შესაკრებად ამ საქმის გამო.

— ერთს მდიდარს ვაჭარს მიუღია დიდი ფული, ჩამჯდარა რკინის გზაში—ეკატერინოსლავში და რადგანაც ქურდ-ავაზაკებისა ძრიელ ჰშინებია, პირველის კლასის ბილეთი აუღია. ვაგონში ამ ვაჭრის მეტი არავინ ყოფილა. ავაზაკებს ეს შეუმჩნევიათ. ღამე უეცრად ვაგონში შესულა ერთი კაცი, ამოუღია დამბაჩა და დაუცია ვაჭრისათვის. ვაჭარს შემოუვრავს ავაზაკისთვის და დამბაჩა ხელიდამ გაუგდებინებია, ავაზაკი ფეხ-მარდად გადმომხტარა მატარებლიდამ; გაშფოთებული ვაჭარი გამოსდგომია, მაგრამ ავაზაკს ვერ მოსწევია და მატარებელს ქვეშ მოჰყოლია. ეს შეუმჩნევია კონდუქტორსა, დაუყენებია მატარებელი, მაგრამ გვიანდა იყო თურმე, საწყალის ვაჭრისთვის ფეხი მოეწყვიტა მატარებელსა.

მართალია, ფული არ დაუკარგავს ვაჭარსა, მაგრამ იმედი კი აღარა აქვთ, რომ ცოცხალი დარჩესო. ავაზაკს თავისთვის უშველია და ვერ დაუჭერიათ.

უცხოეთი

ბოლგარია. ვენის გაზეთებს აუწყებენ სტამბოლიდამ, რომ საიდ-ფაშამა და ბ-ნმა ნელიდოვმა ინახულეს ბოლგარიის წარმომადგენელი ვულკოვიჩი და გამოუცხადეს, რომ რუსეთის სურვილი უეჭველად უნდა აღსრულდესო. ამასთან საიდ-ფაშა დაჰმუქრებია, რომ თუ კინიცობაა ბოლგარიის მთავრობა თავისას არ დაიშლის, ოსმალეთი აღმოსავლეთ რუმელიაში ჯარებს ჩააყენებსო.

— გაზ. „Times“-ი ამბობს: გუშინ, 6 დეკემბერს, ლორდ იდდესლეიმ გარეშე საქმეთა სამინისტროში კერძოდ ინახულა გრეკოვი, სტოილოვი და კალჩევი. ლორდს უთქვამს ბოლგარიის დეპუტაციისათვის, რომ დარწმუნებულნი იყავით, ინგლისი ბოლგარიის კეთილ-დღეობის მოსურნეა. დელეგატებს უამბნიათ, თუ როგორ დაგვიხვდნენ ვენასა და ბერლინშიო. «ჩვენ დიდი მადლობელი ვართ გრაფის კალნოკისა რიგიანის დახვედრისათვისაო. გრაფ გერბერტ ბისმარკმა ის რჩევა მოგვცა, რომ რუსეთის სურვილს ნუ ეწინააღმდეგებით და ბოლგარიის მთავრად სამეგრელოს თავადი ნიკოლოზი ამოირჩიეთო. ჩვენცა გვსურს, რომ ამ საქმეს რითიმე ბოლო მოეღოს და არც სამეგრელოს თავად ნიკოლოზის კანდიდატობის წინააღმდეგნი ვართ, მაგრამ დიდი საერო კრება ბოლგარიისა არ შეიწყნარებს სამეგრელოს თავად ნიკოლოზის კანდიდატობასაო. ბოლგარიის ერი რომ სრულს ნებაზედ მიუშვან, ეჭვი არა გვაქვს, ისევ პრინც ალექსანდრე ბატტენბერგს მოინდომებს მთავრადაო, მაგრამ იციან, რომ ალექსანდრე ბატტენბერგის მთავრად ამორჩევა შეუძლებელია და ამიტომ ფიქრადაც არავის მოსდის ეს საქმეო. ამას გარდა, ბოლგარია ყველას შეიწყნარებს მთავრად, პრინცის კობურგის გარდაო. დარწმუნებულნი იყავითო, უთქვამსთ დელეგატებს, რომ ბოლგარიის ერი სრულიად თანაუგრძნობს სარეგენტო მთავრობასა და დიდ საერო კრებას ბოლგარიისას. ეს ამბავი იმითიცა მტკიცდება, რომ ხარჯის მოკრეფისა და ჯარის გაყვანის დროს ბოლგარიაში არავითარი უწესოება არა ყოფილაო.» დასასრულ, ლორდ იდდესლეის დელეგატები თავის მამულს პაინსში (Pynes) მიუწვევია. დეპუტატები დათანხმებულან და ძალიან მადლიერნი დარჩენიან ლორდს რიგიანის დახვედრისათვის.

საფრანგეთი. გერმანიისა და ინგლისის გაზეთები ჰკიცხავენ საფრანგეთს, რომ ომსა და ევროპის მშვიდობიანობის დარღვევასა ხარ მოწადინებულიო. საფრანგეთის გაზეთები თავსა მართლულობენ და ამტკიცებენ, რომ საფრანგეთი ბრძოლის მოსურნე არ არისო. ამას წინად ბ-ნ გობლესა და გენერალ ბულანჟესაც გამოუცხადებიათ, რომ საფრანგეთი თავის მხრივ არავის აუტეხს ომსაო. ამავე დროს ხმა გავრცელდა, რომ გენერალ ბულანჟემ იმ 400 მილიონ ფრანკზედ, რომელიც ამას წინად მოითხოვა სამხედრო მოწყობასა და მომზადებისათვის, უარი სთქვა და გამოაცხადა, რომ საჭირო აღარ არისო. აი ამ ამბის გამო რასა სწერს გაზ. „Evènement“-ი: საფრანგეთის მთავრობამ გარდასწყვიტა, რომ ჯარების შეიარაღებასა და მომზადებას თავს ნუ დავანებებთ, ხოლო საიდუმლოდ, ფარულად მოვამზადოთ და შევაიარაღოთ ჯარებიო.

გერმანია. ევროპის პოლიტიკა სამს დიდ სახელმწიფოზედ ტრიალებსო, ამბობს „კელნის გაზეთი“, გერმანიასა, ავსტრიასა და რუსეთზეო. გერმანია თავის სამფლობელოს გადიდებასა და გაძლიერებას არა სცდილობს, მხოლოდ ის აწუხებს, რომ დასავლეთის მხრივ შეურიგებელი, დაუნდობელი მტერი ჰყავს და აღმოსავლეთის მხრივ კიდევ მოყვარე, რომელიც დღეს არის თუ ხვალ გადუდგება, და ზურგს შეაქცევსო. ეს არის მიზეზი, რომ გერმანია სცდილობს მოყვარე არ გადაიყენოს, ყოველისფრით თავაზას უწევს, ყველაფერს უთმობს და ამით მტერსაც იფრთხობს და განზედ იყენებსო. გერმანია წინ არ გადაეღობება რუსეთის სურვილს იმ დრომდე, ვიდრე რუსეთი თითონვე ხელს არ შეახებს ან გერმანიის და ან მის მოკავშირის ავსტრიის ინტერესებსაო. ამითი აიხსნება ის გარემოება, რომ გერმანია აღმოსავლეთის საქმეში არ ერევა და განზედ ჰდგებაო. გერმანიას ძალიანაც შესტკივა გული ბატტენბერგისათვის, უნდა კიდეც რომ დაეხმაროს და სარჩლი გაუწიოს რითიმე თავის პრინცს, მაგრამ იძულებულია დაჩუმდეს, რადგან რუსეთთან კეთილ-განწყობილებასა და მეგობრობაში ძალიან საჭიროებსო.

გასართობი

კოროლი და ჯარის-კაცი. იტალიის კოროლი, მამა ეხლანდელის კოროლისა, ვიქტორ-ემმანუილი და მისი მინისტრი ვისკონტი-ვენოსტა დასეირნობდნენ ერთს საღამოს. კარგად მოუბინდდათ ამ სეირნობაში და ამასთანაც სეირნობასა და ლაპარაკში ისე გაერთვნენ, რომ თითქმის ქალაქის განაპირას გავიდნენ. წინ შეეხალათ ერთი ახლად აყვანილი ჯარის-კაცი, პატარა გადაკრული იყო თურმე და წინ გადეღობა. ამ ჯარის-კაცმა არამც თუ გზა დაუთმო კოროლს, რომელიც, რასაკვირველია, ვერ იცნო, ჩხუბიც აუტეხა და ბოლოს ხელიცა ჰკრა. ვიქტორ-ემმანუელმა ანიშნა ვისკონტი-ვენოსტას, შენ ხელი არ განძრიოვო, თვითონ დაიმკლავა და ეცა ჯარის-კაცსა. დიდხანს იძიძგილავეს და ბოლოს ვიქტორ-ემმანუელმა ერთი ასეთი მუშტი ჩასცხო, რომ ჯარის-კაცი დაეცა და ხვეწნა დაუწყო, ნულარა მცემო.

— ბედი შენი, უთხრა მშვიდობიანად ვიქტორ ემმანუელმა: რომ მე გძლიე. შენ რომ მომრეოდი, ერთი ათიოდ წელიწადი ციხეში ამოგაყოფინებდნენ თავსა. აჰა შენ ოც-და-

---

გრამა მეტსაც არას ითხოვდა, გარდა, რასაკვირველია, კიდევ საღმრთო წერილის ცოდნისა. პირველ დასის ხალხს, რასაკვირველია, შეუძლიან ყოველ გვარის შინაარსის წიგნის წაკითხვა და გაგება, რაც კი ხალხისათვის დაიწერება, რადგან სკოლაშივე ცოტა რამ ყველა საგნებიდამ შეუძნია, მაგრამ ამ დასის ხალხი ჯერ მოზარდ თაობას შეადგენს და რიცხვითაც არ არის ძლიერ თვალ-საჩინო. დღეს ჩვენში ჰარბობს უფრო მეორე რიგობის ხალხი, ე. ი. ის ხალხი, რომელსაც ძველებურად უსწავლია და წერა-კითხვის მეტი სხვა საგნებისა არა იცის-რა.

მაშ რა ხასიათის წიგნები უნდა ვსწეროთ ამ ჟამად ხალხს საკითხავადაო, იკითხავთ თქვენ.—უნდა ვსწეროთ ისეთი წიგნები, რომელნიც ხალხს არამც თუ დააფრთხობენ, არამედ მოიზიდავენ, კითხვის ხალისს აღუძრავენ და შეაყვარებენ დაბეჭდილს სიტყვას, დაბეჭდილის კითხვას. წიგნის შინაარსისათვის აღებული საგანი ხალხისათვის ადვილი მისახდომი, გასაგები უნდა იყოს. ხალხს უნდა უყვარდეს, პატივსა სცემდეს იმ საგანს, რომელზედაც წიგნი ბაასობს; იგი სრულიად შეფარდებული უნდა იყოს ხალხის გონებრივ მოთხოვნილებასთან და მის საზოგადო გემოვნებასთან. ყველა ეს რომ მივიღოთ მხედველობაში, მგონია, ადვილად მიხვდებით, რომ საერო საკითხავ წიგნების შინაარსისათვის ამ ხანად საქართველოს ისტორიას არა შეედრება-რა. მართლაც, რა უფრო იზიდავს განსაკუთრებულის სახით ხალხის ყურადღებას, თუ არ შესანიშნავი ისტორიული რაიმე მოვლენა, საქმეთა ცვლილება? რა უფრო იწვევს ხალხის მხრივ განსაკუთრებულს თანაგრძნობას, სიყვარულს, საუკუნო მახსოვრობას, თუ არ საისტორიო მომქმედის რაიმე რაინდული, გმირული მოქმედება, თავ-განწირულობა მამულისა და მოძმესათვის? მერე რამდენი ამ გვარი მასალა შეუძლიან მოგვცეს საქართველოს ისტორიამ! ერთი ეხლანდელი მეისტორიე ამბობს: „ძნელად მოიპოვება დედა-მიწის ზურგზედ ქართველების გარდა ერი, რომლის ისტორიაც ესე მდიდარი იყოს ათასფერის მამაცობის, გულადობის და მაღალ-სულოვანობის შესანიშნავ მაგალითებით. ევროპიელ საუკეთესო დრამატურგებსა და კომპოზიტორებს ძნელად თუ სხვა რომელიმე ერი მისცემდა, თუ ისურვებენ, ასეთს წარჩინებულს და საუცხოვო მასალას თვისს ქმნილებათათვის, როგორითაც სავსეა ქართველის ერის ისტორიის ფურცლებიო.“

თუ ეს ასეა, რატომ არ შეიძლება გამოიკრიბოს საქართველოს ისტორიიდამ რითიმე შესანიშნავი ეპიზოდები, შესანიშნავი ადგილები ისტორიულს გმირებზედ (მეფეები, სპასალარები და უბრალო მეომარნი), რომელთაც თავის დროს ასე თუ ისე თავი გამოუჩენიათ და რომელთაც რაიმე სამსახური მიუძღვით სამშობლოს წინაშე გაჭირებისა და ლხინის დროს. შეიძლება ჩვენვე დაგვესახელებინა ეხლავე ამ გვარნი მოღვაწენი, მაგრამ საქმე შორს წავა და, გვგონია, ეს სხვისთვისაც არ არის გასაჭირი.

უნდა აიღოს რომელიმე ისტორიული ეპიზოდი, ანუ ისტორიულის მოღვაწის ცხოვრება — თავ-გადასავალი და დაიბეჭდოს პატარა წიგნაკად. საგანი წინადვე უნდა იყოს კარგად მოფიქრებული; ავტორი წინადვე აღნიშნულის თვალით უნდა უცქიროდეს, ნათელს ჰფენდეს საგანს; თავიდამ ბოლომდის წიგნში ერთი ხელ-მძღვანელი აზრი უნდა იყოს; ენა მარტივი და ადვილად გასაგები ხალხისათვის. თუ წიგნში სურათები იქნება ჩართული — ეს უკეთესი; ფასი წიგნისა რაც შეიძლება იაფი უნდა დაინიშნოს.

ისტორიულის შინაარსის წიგნაკებს ჩვენის ხალხისათვის ამ ჟამად ბევრ-ნაირი მნიშვნელობა აქვს—ამას ფიცი არ უნდა. ესეც უნდა ითქვას რომ „ყარამანიანიდამ“, „ეთერიანიდამ“, „როსტომიანიდამ“, „დაერიშიანიდამ“, „ბეჟანიანიდამ“, „გულასპიანიდამ“, „ქალვაჟიანიდამ“, „ალექსიანიდამ“ და „არსენას ლექსიდამ“, რომელთაც ხალხი უკვე იცნობს, ისტორიულ წიგნებზედ გადასვლა ხალხისათვის ძნელს ნაბიჯს არ შეადგენს. გარდა ამისა ამ გვარ წიგნებს დიდის სიამოვნებით მიეგებება ხალხი, რადგან, ზემო-აღნიშნულის მიზეზით, ისტორიული ამბავი ხალხისათვის ყოველთვის საგულისხმო ყოფილა. ხალხი ამით მიეჩვევა კითხვას და შემდეგისათვის ადვილად შეეძლება სხვა გვარ შინაარსის წიგნსაც ხელი მოჰკიდოს. წიგნის კითხვის სიყვარულის დაბადება ხალხში უმნიშვნელო საგანი არ არის. უმთავრესი მნიშვნელობა კიდევ ისტორიულის შინაარსის წიგნების გავრცელებისა ხალხში ის არის, რომ უკანასკნელს თავისი წარსული ყოველთვის ხსოვნაში ექნება; მამა-პაპის სიყვარულითა და პატივის-ცემით მოხსენება, გვგონია, თავის თავის სიყვარულად და პატივისცემად უნდა ჩაეთვალოს ერს. ამას ამტკიცებს ის უბრალო გარემოება, რომ ვერც ერთის ერის კაცი გულგრილად ვერ ისმენს ხოლმე, როდესაც მის მოძმეთა წარსულს, მამა-პაპათ უკადრისად იხსენიებენ, ანუ დასცინიან; ყველა ესარჩლება თვის წინა-პართ უცხოელის წინაშე, ყველას სიამოვნებით, სიხარულით უძგერს გული, როდესაც უცხოელის პირიდამ თვის წინა-პართა ქება-დიდების ხმა ესმის,—და ეს იმისი უტყუარი ნიშანია, რომ იმას უყვარს თავის ერის წარსული და, მაშასადამე, თავისი თავიც. ვგონებ, არ უნდა იყოს კარგი ნიშანი, როდესაც ხალხი ივიწყებს თავის წარსულს.

მსოფლიო ისტორიაში ყოფილა ისეთი მაგალითები, რომ ისტორიულ შინაარსის წიგნებს კეთილი ზედმოქმედება ჰქონიათ ხალხზედ. ჩვენ შეგვეძლო ამის მაგალითები მოგვეყვანა აქ, მაგრამ სიტყვა გაგრძელდება და საგანსაც ავსცდებით.

ალ. მირიანაშვილი

ხუთი მანათი, ჩემი სადღეგრძელო დალიემე თქვენი კოროლი ვარ.

**

შილლერი და მისი მეზობელი. დიდად სახელ-განთქმული და მართლა სახელოვანი მწერალი გერმანიისა შილლერი ყმაწვილობაში ჩანგზედ დაკვრას სწავლობდა. მეზობელს თავი მოაბეზრა ჩანგის ჟღარუნით. ერთხელ გაჯავრებულმა მეზობელმა დაცინვით უთხრა:

— დიაღ, ბატონო შილლერო! თქვენ ისე უკრავთ ჩანგსა, როგორც დავით წინასწარმეტყველი, მაგრამ ისე კარგად კი ვერა.

— თქვენც, ჩემო მოწყალეო, ისე ჰლაპარაკობთ როგორც სოლომონ ბრძენი, მაგრამ ისე ჭკვიანად კი ვერა, უპასუხა შილლერმა.

**

დევრიენი და მისი იუბილეი. დიდად გამოჩენილს მსახიობს—არტისტს ლუდვიგს დევრიენს ოც-და-ხუთი წელიწადი შეუსრულდა, რაც თეატრში ჰთამაშობდა. მისის ნიჭის პატივის-მცემელთა და მოყვარეთა იუბილეი გაუმართეს. სადილზედ მრავალი საჩუქარი მოუვიდა, სადღეგრძელო მისი ბევრი დალიეს და ბევრი ქება-დიდებაც უთხრეს. ყველა ელოდდა, აბა თვითონ პასუხად რას იტყვისო. წამოდგა და უთხრა:

— მოწყალენო ხელმწიფენო! მთელი ოც-და-ხუთი წელიწადი იმას გამოვსთქვამდი ხოლმე, რასაც არა ვგრძნობდი და ეხლა კი იმასა ვგრძნობ, რაც ვერ გამომითქვამსო.

დეპეშა

25 დეკემბერი

პეტერბურგი. „Новое Время" გვაუწყებს: იმიერ-კავკასიის ოლქის უფროსი, გენერალი კომაროვი მოწოდებულია პეტერბურგში და ამის მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ვითომ განზრახვა აქვთ იმიერ-კავკასიის მხარე ცალკე ოლქად გარდააქციონ თავის საკუთარის მმართველობით.

სოფია. ბოლგარიის მმართველები ოფიციალურად აცხადებენ, რომ ჩვენ არ გვითხოვია ბატტენბერგისათვის ბოლგარიაში უკანვე დაბრუნებაო.

ვენა. აქ დარწმუნებით ამბობენ, რომ კელნში ბატტენბერგმა ნახა ბოლგარიის დეპუტატები, მაგრამ ნახა, როგორც კერძო კაცმაო.

სტამბოლი. სულთანმა დაიბარა აქ ბოლგარიის მოპირის-პირე დასის მეთავა ცანკოვი, რომელთანაც ჰსურს მოილაპარაკოს — მიიღებს ბოლგარიის სამინისტროში მონაწილეობას თუ არა.

ვენა. სამინისტრო გაზეთი „Fremdenblatt"-ი სრულიად ეთანხმება გაზეთ «Journal de St.-Pèterbourg»-ის აზრს, რომ ბატტენბერგის ბოლგარიაში უკან დაბრუნებას ცუდი შედეგი მოჰყვებაო. გაზეთი ამბობს: მარტო ის, რომ დიდთა სახელმწიფოთა ჰსურთ ხელ-უხლებლად დაიცვან ბერლინის ხელთ-შეკრულობა, საკმაო და ბოლგარები უნდა დარწმუნდნენ, რომ სახელმწიფონი არ მოიწონებენ ბოლგარების არც ერთს საქციელს, თუ ეს საქციელი მთელის ევროპის მშვიდობიანობას განსაცდელში ჩააგდებსო.

26 დეკემბერი

ვერნი. კაშგარიდამ იწერებიან, რომ გამგებელი ჩინეთის ხელ-ქვეშით თემისა ქუნჯუთისა, გაზან-ხანი, მოუკლავთ თავის შვილის ბრძანებით. ამბობენ, რომ გაზან-ხანს უნდოდა გაეტარებინა ქუნჯუთზე რამდენიმე ინგლისელი, რომელნიც მიდიოდნენ ინდოეთიდამ იარკენდს და ეს არის იმის მოკვლის მიზეზიო.

ვენა. გუშინ რუსეთის ელჩი, თავადი ლობანოვ-როსტოვსკი იყო მიწვეული სადილად ავსტრიის იმპერატორთან

ფილიპოპოლი. აღმოსავლეთ რუმელიის რამდენსამე სოფელში სარჯის შეკრებას ეწინააღმდეგებიან და ზოგიერთნი მთებში იხიზნებიანო.

ბერლინი. წითელ-ჯვრის საზოგადოებას მიულოცნია იმპერატორისათვის. იმპერატორს სამადლობელი რესკრიპტი გაუგზავნია და მიუწერია: «მე ვცოცხლობ იმ იმედით, რომ ჩემა ცდა ამაოდ არ ჩაივლის და გერმანიის ერს საკეთე მშვიდობიანობას ექნება დამკვიდრებულიო.

27 დეკემბერი

ვენა. რუსეთის უკანასკნელის ცირკულიარის პასუხად ბოლგარიის მმართველებს ნოტა დაურიგებიათ დიდთა სახელმწიფოთათვის და ამტკიცებენ, ბოლგარიის საქმეები იხეთს მდგომარეობაში იყო, რომ სარეგენტო მთავრობა და სამინისტრო იძულებულ იქმნა, თითონ ეტვირთნა ბოლგარიის გამგეობა, მით უფრო, რომ იმედი ჰქონდა, ჩქარა ამოირჩევენ ბოლგარიისათვის მთავარს და ჩვენი სამსახური გათავებული იქმნებაო. გენერალი კაულბარსი იმის მაგივრად, რომ აღედგინა დამშვიდება და წესიერების ჩამოგდებასა ცდილიყო, მკვიდრთა შორის შფოთისა და უწესოებას აგდებდაო. ტყუილია ის ამბავიც, ვითომ კაულბარსი ცდილობდა ახალი სარეგენტო შეედგინა იხე, რომ ამ სარეგენტოში ორივე დასის წევრები ყოფილიყვნენ ამორჩეულნიო. ორივე დასის წევრებით შეერთებულის სარეგენტოს აზრი პირველად კადბან-ეფენდიმ წარმოსთქვა მაშინ, როცა კაულბარსი ბოლგარიიდამ წასული იყო კიდეცაო. ამასთან კადბან-ეფენდიმ პირობად დაგვიდო, სამეგრელოს თავადი ნიკოლოზი ამოგვერჩია მთავრად და ეს კი შეუძლებელიაო. დასასრულ ნოტაში გამოცხადებულია, რომ რეგენტები მზად არიან, ყოველივე პირადი კეთილ-დღეობა უსხვერპლონ სახელმწიფო ინტერესებსაო. რეგენტებსა ჰსურთ, რომ ბოლგარიის საქმე ბერლინის ხელ-შეკრულობის თანახმად გარდასწყდეს და იმედი აქვთ, რომ ის სახელმწიფონი, რომელთაც ამ ხელთ-შეკრულობაზე ხელი უწერიათ, ბოლგარიას იმ უფლებას მიანიჭებენ, რომ ხელ-შეუხებელი და დამოუკიდებელი იყოს პოლიტიკურადაო.

29 დეკემბერს.

პარიჟი. 28 დეკემბერს. გარეშე საქმეთა მინისტრმა ფლურანსმა ინახულა, როგორც კერძო კაცნი, ბოლგარიის დეპუტაცია და უთხრა: თუ ბოლგარიას ჰსურს დღევანდელის გაჭირვებისაგან გამოვიდეს, ყველაზე უკეთესი იქნება რომ რუსეთის რჩევას და დარიგებას მიჰყვეს. ამასთანავე ფლურანსმა დაუმატა, რომ საფრანგეთს მიზეზი არა აქვს ბოლგარიის საქმეში გაერიოსო.

პარიჟი. გუშინ, როდესაც დეპუტაცია ფლურანსთან იყო, გრეკოვმა უთხრა ფლურანსს: სარეგენტო მთავრობას კარგად ესმის თავისი მდგომარეობა და აგრეთვე ევროპისაც და ეცდება ყველაფერი დაუთმოს იმის გარდა, რაც ბოლგარიის დამოუკიდებლობას შეეხება, ოღონდ კი საქმე რითიმე გათავდეს. ფლურანსმა უპასუხა: მე თქვენ მიგიღეთ, როგორც კერძო კაცები, იმიტომ რომ, თუმცა ბოლგარია თავის შინაურ საქმეებში დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ითვლება, მაგრამ გარეშე საქმეებში კი ოსმალეთზეა დამოკიდებული და ამიტომ მხოლოდ ოსმალეთსა აქვს ნება ბოლგარიის სახელით მოილაპარაკოს უცხო სახელმწიფოებთან. საფრანგეთი დიდის პატივით ეპყრობა ყოველგვარ ხელთ-შეკრულებას. დიდად, გულ-მხურვალედ მოწადინებულია ოსმალეთის მთლიანობა არ შეირყეს, — ეს საფრანგეთის მტკიცე აზრია და ამას არ გადუდგება. ბოლგარიამ რომ დღევანდელ გაჭირვებისაგან თავი იხსნას უკეთესი ღონისძიება ის იქნება, რომ ბოლგარიამ საქმე ისე დაიჭიროს, როგორც რუსეთსა ჰსურს; რუსეთს ბევრი უნდა დაუთმოს კიდეც ბოლგარიამ, რადგან რუსეთის წყალობით აქვს დღეს მინიჭებული ბოლგარიას თვითმყოფობა. ფლურანსს გარდაწყვეტილად არა უთქვამს რა არც ერთს კანდიდატზე, ამაზედ ლაპარაკი ჯერ ადრეაო, მხოლოდ ის კი სამწუხაროა, რომ სამეგრელოს თავადის კანდიდატობაზე სარეგენტო მთავრობა სრულს უარს ამბობსო. ბოლგარია რა თანაგრძნობის ღირსიც უნდა იყოს, საფრანგეთს მაინც ყველაზე მაღლა ევროპის საზოგადო ინტერესი აქვს დაყენებული, ესე იგი მშვიდობიანობის ინტერესი და მხოლოდ შეუძლიან ურჩიოს ბოლგარიას ისეთი ღონისძიება, რომლის შემწეობით შესაძლოა ჩქარა და რიგიანად გადასწყდეს ბოლგარიის საქმე. დეპუტატებს ამაზედ უპასუხნიათ, რომ ბოლგარიასაც ევროპიის მშვიდობიანობა გულითა ჰსურს, და ამიტომაც უარ-ჰყო პრინც ალექსანდრე ბატენბერგის კანდიდატობა; თუ არ ეს პრინცი და სამეგრელოს თავადი, სხვაფერ საქმე არ მოეწყობა? არც ერთს სახელმწიფოს, გარდა ოსმალეთისას, მაგისი ნება არა აქვსო უთქვამს ამაზედ ფლურანსს, საფრანგეთი დიდს მონაწილეობას ვერ მიიღებს ამ საქმეში. საფრანგეთს შეუძლიან მხოლოდ ხელი მიაუმართოს იმ გვარ მსჯელობას საქმისას, რომელიც უფრო საიმედოა, რომ მიღებულ იქმნება საქმეში გარეულ მოდავეთაგან. საფრანგეთს მხოლოდ ერთი სურვილი აქვს: — მშვიდობიანობა არ დაირღვეს.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3.

დეკემბერი 31 დღით არის

30 დღე სამშაბათი. წმ. ქალწ.-მოწ. ანისიასი. კათოლ. მე-7 დღე იესო ქრისტეს შობიდგან. სომხ. 1-ლი დღე შობის მარხვისა. მუსულ. მე-18 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1304 წ. ჰიჯრის. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—8—17, ტფილისში მზე ამოდის 7—26, ჩადის 4—50; მთვარე ამოდის 6—35, ჩადის 7—41. მთვარე 17 დღისაა.

31 დღე ოთხშაბათი. ღირს. მელანიასი. კათოლ. წმ. ალმსაარ. პაპ. სილვესტრისა. ჭეშმარიტი შუა დღე 12—8—41. ტფილისში მზე ამოდის 7—26, ჩადის 4—51; მთვარე ამოდის 7—45, ჩადის 8—26.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

16 დეკემბრიდამ 1 იანვრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	3
» 2 »	2½ »
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5 »
» » 2—	3½ »
» » 3 »	3 »
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა . .	5 »
მე-2 ხარისხისა . .	4 »
მე-3 — . . .	3½ »
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 »
» 2 »	6 »
სუკი. . . .	13 »
ცხვრის ხორცი . . .	7 »
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა.	6 »
» 2 »	5 »

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით საშუადღევოს 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით, იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭიროა ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

განცხადებანი

გორის სასულიერო სასწავლებლის სამმართველოში, რადგანაც უწინდელი ვაჭრობა არ შესდგა, დანიშნულია, 23 იანვარს 1887 წლისას, პირველი საათი რომ შესრულდება, ახალი ვაჭრობა განუმეორებლად, ზეპირისა და დაბეჭდილის კონვერტით, შესახებ შენობებისა, რომელნიც უნდა აშენდნენ გორის სასულიერო სასწავლებლისათვის და რომელთა ასაშენებლად დანიშნულია სამოც-და რვა ათას ას ოთხმოც-და-თოთხმეტი მანეთი და ერთი აბაზი (68194 მ. 20 კ.). პირობანი ამ ვაჭრობისა და სმეტა შენობებისა მსურველთ შეუძლიანთ ნახონ სასწავლებლის სამმართველოში და ეგზარხოსის კანცელარიაში. სასწავლებლის სამმართველოში სმეტა და პირობანი მსურველთ შეუძლიანთ ნახონ ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა, დილის რვა საათიდამ საღამოს ორ საათამდის.

ვაჭრობის მსურველნი მოვალენი არიან, სანამ დილის თორმეტი საათი შესრულდება, შემოიტანონ სასწავლებლის სამმართველოში განცხადება მასზედ, რომ მიუშვან იგინი სავაჭროდ და მასზედ, რომ მათა სურთ აიღონ ფოდრათი პირობათა თანხმობით. ვადად შენობების გათავებისა და ჩაბარებისა დანიშნულია პირველი დღე აგვისტოსი 1888 წლისა. (3—1)

მიიღება ხელის-მოწერა 1887 წლისათვის ქართულ სასულიერო გაზეთს.

„მწყემსზედ"

და „მწყემსი"-ს რუსულ დამატებაზე.

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახორციელო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა, რომელთა გამოცხადება შესაძლო იქმნება; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა გამო; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილის ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურე პირთ ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის ასრულებისათვის.

«მწყემსი» რუსული დამატებით მომავალი წლიდამ გამოვა სურათებით. ქართული გამოცემა გამოვა სამჯერ თვეში და რუსული ორჯელ.

ფასი გამოცემისა:

მთელი წლისა გაგზავნით	5 მან.
ნახევარი	3 —

„მწყემსი" რუსული გამოცემით:

მთელი წლის გაგზავნით	6 მან.
ნახევარი	4 —
ცალკე რუსული დამატება წლით	3 —
ნახევარი წლით . . .	2 —

წერილების გაგზავნა და პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება რედაქციაში, რომელიც იმყოფება დაბა ყვირილაში, რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გაზეთის დაბარება შეიძლება ამ ადრესით: Въ Квирилу, въ редакцію „МЦКЕМСИ" (пастырь). ყვირილაში, „მწყემსი"-ს რედაქციაში. (3—1)

Дозв. ценз. Тиф. 29 декабря, 1886 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе" (Н. И. Френкель) Караван-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე